საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 38 (6584) 30 სექტემბერი ხუთშაბათი 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონულ საკრებულოში

საგანგებო წესების გამოცხადების გამო

მძიმე დღეები უდგას მრავალტანჯულ მრავლის მომსწრე საქართველოს! არ იქნა და არ დამყარდა მშვიდობა მის ცის ქვეშ! ძმამ ძმაზე აღმართა ხელი! იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი! რითაც სარგებლობს აფხაზმა ექსტრემისტებმა! დაარღვიეს სოჭში ხელმოწერილი სამხრივი ხელშეკრულება, რითაც დროებით იყო შეწყვეტილი ცეცხლი აფხაზეთში, და 17 სექტემბერს დილით დაიწყეს იერიშები, კვლავ გაიხალეს ბრძოლები სოხუმისა და ოჩამჩირის დასაუფლებლად. იწვის და ნადგურდება ხალხის შექმნილი სიმდიდრე. მტერმა მიაღწია საწადელს. გარეშეთა და შინაურთა თანადგომით 27 სექტემბერს დაიკავა სოხუმი. ახლა, როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, მთავარი საკითხია მშვიდობიანი მოსახლეობის თუ სხვათა ევაკუაცია, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას რესპუბლიკაში.

აფხაზეთის ეს ცხარე დღეები დაემთხვა რესპუბლიკაში საგანგებო წესების გამოცხადებას, რაც დროებითი ღონისძიებაა. იგი ითვალისწინებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეთა უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, ვითარების ნორმალიზაციას, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენას.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესაბამისად საგანგებო წესების დაცვის ორგანიზაციისთვის ჩვენს რაიონში შეიქმნა შტაბი რაიონის საკრებულოს გამგებლის აკაკი პირველის თავმჯდომარეობით, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი არიან რაიონის პროკურორი ავთანდილ ძაღრაძე, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ომდარ ახვლედიანი, რაიონის სამხედრო კომისარი კობა კოპალიანი, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ცაგერის განყოფილების უფროსი ოლეგ ბენდელიანი.

28 სექტემბერს რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების, აქტივის შეკრება, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადებას. შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა რაიონული საკრებულოს გამგებელმა, შტაბის თავმჯდომარემ აკაკი პირველმა. მან ილაპარაკა აფხაზეთში და მთლიანად საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, სადღეისო ამოცანებზე.

შეკრებაზე აზრი გამოთქვეს ავთანდილ მაღრაძემ, ომდარ ახვლედიანმა, გულნაზ კოპალიანმა, გურამ ყურაშვილმა, მურმან თოთაძემ, ოტელო მდივანმა, კარლო კვირკაშვილმა და სხვებმა.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ დიდი ამოცანის წინაშე აყენებს დღეს ყველას. მართალია, ამ მიმართულებით უკვე გატარდა გარკვეული ღონისძიებანი, მაგრამ იგი საკმარისი არ არის. რაიონის ტერიტორიაზე შემოსასვლელი ოყურეშში პიკეტირებულია პოლიციის მიერ. ასევე შემოღებულია პოლიციის მუშაკთა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა აქტივის ჯგუფების მორიგეობა ქალაქში ღამით და სხვა.

შეკრებაზე ხაზი გაესვა მოსაგვარებელ საკითხებს და არსებულ ნაკლოვანებებს. კერძოდ, პიკეტები მოსაწყობია ალპანასა და ქორენიშის ბოლოს. შემოღებული უნდა იქნას ყველა წარმოება-დაწესებულებაში სადღეღამისო მორიგეობა, მეტი მუშაობა უნდა ჩატარდეს უნებართვო იარაღის ამოსაღებად, მეტი ახსნა-განმარტებითი მუშაობაა საჭირო რათა იარაღის მფლობელებმა თვითონ მიიტანონ იგი პოლიციაში და ხელწერილით ჩააბარონ.

მკაცრად ითქვა წარმოება-დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის დაცვაზე, რომ იგი დღეს არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება, სამუშაო საათებში როდის უნდა, მაშინ მიდის

(დასასრული მე—3 გვ).

საგანგებო შტაბში

წინადადება მიეცა

ცაგერის რაიონის საგანგებო შტაბის სხდომამ განიხილა საკითხი—საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე. რესპუბლიკასა და რაიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და კრიმინოგენური მდგომარეობიდან გამომდინარე საგანგებო შტაბმა დაავალა ქალაქ ცაგერის და სოფლების საკრებულოების გამგეობათა თავმჯდომარეებს 3 დღის ვადაში შექმნან მოხალისეთა ჯგუფები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე წესრიგის დაცვასა და პატრულირებაში მონაწილეობის მისაღებად. პოლიციასთან ერთად შეამოწმონ დოკუმენტები საკონტროლო პუნქტებსა და მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, მოაწყონ რეიდები, პირადი გასინჯვები, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება საპასპორტო რეჟიმის დამრღვევი და სხვა საეჭვო პირების გამოვლენისათვის.

საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, სახელმწიფო და კერძო საწარმოების ნორმალური ფუნქციონირების და მასობრივ არეულობათა თავიდან აცილების მიზნით აკრძალა მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვების და სხვა აქციების მოწყობა.

რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს (ჯ. ყვირილიანი) და ვეტსამსახურს (ი. ჩხეტიანი) დაევალა მიიღონ მკაცრი ზომები რაიონის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის და ცხოველთა და ავადებების გავრცელების აღსაკვეთად. სისტემატურად შეამოწმონ სასმელი წყლის და საკვები პროდუქტების საიმედოობა. საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინონ წინადადებები საგანგებო შტაბში საგარანტიო ღონისძიებების შემოსაღებად.

აიკრძალა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევის გარდა.

რაიონის კავშირგაბმულობის კვანძი გადაყვანილ იქნას განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმზე და უზრუნველყოს სისტემატური საქალაქთაშორისო და შიდასარაიონო კავშირები ქალაქთან და რაიონის საკრებულოების გამგეობებთან.

რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციას დაევალა სრულად დაიცვას პრესისა და ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონის მოთხოვნები, არ დაუშვას პრესაში ისეთი მასალების მოთავსება, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს.

რაიონის პოლიციის განყოფილებამ, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურმა პროკურატურასთან ერთად უნდა განახორციელონ ზომები დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ძებნილი მოქალაქეების დაკავებისათვის.

წინადადება მიეცა რაიონში უნებართვო საბრძოლო იარაღის მქონე პირებს სამი დღის ვადაში იარაღი ნებაყოფლობით ჩააბარონ პოლიციის განყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე გატარდება კანონით გათვალისწინებული უმკაცრესი ზომები.

საპასპორტო რეჟიმის დაცვის მიზნით რაიონის ტერიტორიაზე დროებით მცხოვრები მოქალაქეები ვალდებული არიან 3 დღის განმავლობაში გამოცხადნენ შესაბამის სოფლის საკრებულოებსა და რაიონის საპასპორტო სამსახურში აღრიცხვაზე ასაყვანად.

გამგეობის ლტოლვილთა სამსახურს დაევალა დაუყოვნებლივ განახორციელოს ღონისძიებები რაიონში მყოფი ლტოლვილების და ხიზნების რაოდენობის ზუსტი აღრიცხვისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

შეიზღუდა პურის ფქვილის გაცემა

დღეს რესპუბლიკაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა. არ არის მოსახლეობისათვის საკმარისი რაოდენობით პურის ფქვილი თუ სხვა პროდუქტები. გამომდინარე აქიდან რაიონის გამგეობასთან არსებული მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რაიონულმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ შეზღუდოს პურის ფქვილის გაცემა მოსახლეობისათვის აუცილებელ საჭიროებაზე. პურის ფქვილი გაიცეს მხოლოდ გასვენებისა და ორმოცისათვის სულ 150 კილოგრამი, ხოლო ხელის გახსნაზე, ორმოცზე, შუა სუფრაზე, წლისთავზე პურის ფქვილი არ გაიცემა, ასევე არ გაიცემა ქორწილსა და სხვა სალხინო ღონისძიებებზე.

რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით გამომცხვარი პურის ნორმად დღეში ერთ სულზე დაწესებულია ქალაქში მცხოვრებთათვის 400 გრამი, სოფელში 300 გრამი, რაც ფქვილად წარმოადგენს 330 და 220 გრამს.

გასვენებისთვის და ორმოცისათვის პურის ფქვილის გაცემა მოხდება ერთდროულად (გამონაკლის შემთხვევაში ცალ-ცალკე შესაბამისად 100 კგ და 50 კგ) მხოლოდ შესაბამისი საკრებულოს ოფიციალური ცნობით გარდაცვლილის სახელი და გვარის მითითებით, გარდაცვალებისა და დასაფლავების თარიღის ჩვენებით.

ქალაქ ცაგერში მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ჩატარდა მიტინგი, რომელზეც დაყენებული საკითხებიდან ერთ-ერთი ეხებოდა კავშირგაბმულობის მუშაობას, კერძოდ: „14 სექტემბერს რატომ არ გადაიცა რაიონული საკრებულოდან მიტანილი დეპეშა პარლამენტის მისამართით სახელმწიფო მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან არ გადადგომის მოთხოვნით“.

განვმარტავ, რომ ტექნიკური მიზეზების გამო დაზიანებული იყო სატელეგრაფო ხაზი ცაგერი—ქუთაისი—თბილისი ქუთაისი—თბილისის მონაკვეთზე. დაზიანება მოხდა 14 სექტემბერს 14 საათსა და 55 წუთზე' დაზიანება გა—

ინტერვიუ

არა პურითა მრთითა ...

პირველად ამ სამიოდე თვის წინ შევხვდით და შეხვედრის შედეგი ინტერვიუს სახით გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. ბევრს შეიძლება ახსოვს კიდეც ინტერვიუერის, რაიონის პროკურორის ბატონ ავთანდილ მაღრაძის ბოლო სიტყვები: „მე შეგნებულად ავირჩიე ეს პროფესია და ვერ ვუღალატებ, ვერ ვუღალატებ თუნდაც სიცოცხლის ფასად“. რარიგ მაღალფარდოვნადაც უნდა გეჩვენოთ ისინი, პირველყოვლისა ძლიერ პროფესიულ თავმოყვარეობაზე მიუთითებს.

ჩვენი ამჟამინდელი შეხვედრა პირვანდელისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ კონკრეტული კითხვების დასმის საშუალება გვქონდა. პირველი, რითაც შეიძლება ითქვას, დაიწყო მან' გახმაურებული „რაიკავშირის საქმეა“. 3 თვეა პროკურატურა ამ საკითხზე მუშაობს და ამ დროის განმავლობაში ჟორის მანქანა გამუდმებით ართავს ტყუილ—მართლის გორგალს. ამ გორგალს ზოგჯერ სენსაციური, ხშირად დაუჯერებელი ამბებიც ასდევს ხოლმე. „გორდიას კვანძის“ გახსნა კი არა და არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობის შეცვლას. თვეების წინ გავრცელებული ხმების (რაიკავშირის თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების მიერ თითქოსდა წასვლის შესახებ დაწერილ განცხადებებზე) მიუხედავად, ეს ცვლილებები, ცოტა არ იყოს' უცნაურად ეჩვენა ხალხს.

მაგრამ მხოლოდ პური არ არის ის, რასაც ხალხი ითხოვს. მისი განწყობა ზუსტად შეიძლება გამოიხატოს ფრაზით: ოღონდაც წესრიგი და პური (ან პირიქით) იყოს! როგორც ჩანს, უნებურად ეს განწყობა აისახა ჩვენს საუბარშიც:

—რამ გამოიწვია რაიკოოპერატივის საკითხის გარკვევის ასე გაჭიანურება?

—რაიკოოპერატივის რევიზია ჩვენ 1ივლისს დავიწყეთ. თუმცა ფაქტობრივად სამუშაო პროცესი თითქმის ერთი თვის შემდეგ დაიწყო, არ გვინდოდა ცეკავშირის წარმომადგენლის გარეშე შევდგომოდით საქმეს. ახლა სამუშაო თითქმის დამთავრებულია და კომისია აქტზე მუშაობს. თუმცა უნდა ითქვას, რომ შეიძლება ამ პროცესშიც გამოვლინდეს ბევრი რამ.

—ვფიქრობ, სანამ ამ საქმეს შეუდგებოდით, წარმოსახული გექნებოდათ სფეროში შექმნილი მდგომარეობის სურათი. რამდენად ზუსტია ეს სურათი?

—წინასწარ მქონდა წარმოდგენილი რაიკოოპერატივში შექმნილი ვითარება —მეთქი. რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. როცა ამ საქმეს ვიწყებდი. არ ვიცოდი. რას მივიღებდი. პროკურატურაში მოდიოდნენ ადამიანები. მთელი სოფლები, ჩიოდნენ! რომ მათ წილ პურს (და არა მარტო პურს) ვიღაც ჭამდა... ახლა ბევრი რამ გაირკვა და უნდა ითქვას. რომ მოსახლეობის დაეჭვების მიზეზი ძირითადად განაწილების არასწორი პრაქტიკაა. ამასთან ხალხი რატომღაც დარწმუნებულია, რომ შავი პურის ფქვილი ფონდში არ შედის. სინამდვილეში შავი პურის ფქვილი, რომელიც რაიონის მოსახლეობამ მიიღო, გამოყოფილი ფონდის შემადგენელი ნაწილია და I—II კვარტალში ყველა სოფელს აქვს მიღებული კუთვნილი ფონდი. დოკუმენტები ამას ადასტურებენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხი ტყუილად არ აღელვებულა—დარღვევები არის. ზოგიერთი სოფლის მაღაზიას მიღებული აქვს ათეული კილოგრამებით მეტი ფქვილი ან შაქარი. სად წავიდა ეს პროდუქტი, ჯერაც გასარკვევია. ვთხოვ ყველა დაინტერესებულ პირს, რომ თუ მათ არ მიუღიათ I—II კვარტალში ფონდით კუთვნილი ფქვილი ან შაქარი, განცხადებით მიმართონ პროკურატურას და ყოველ კონკრეტულ ფაქტს უმოკლეს დროში განვიხილავთ. ვიმეორებ უმთავრესად დარღვევები ეხება განაწილების პრაქტიკას. წლეულს პირველ 6 თვეში მიწერებით გაცემულია 3 ტონა შაქარი და 21,5 ტონა ფქვილი. აუცილებელია ამ მიწერების შეზღუდვა. ერთ—ერთ გამოსავლად მიმაჩნია ის, რომ ნორმირებულ იქნას ე. წ. „ჭირის დღეებისათვის“ გამოყოფილი პროდუქტის ოდენობა. ყველას უნდა მიეცეს მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი, და ეს მინიმუმი უნდა დადგინდეს რაც შეიძლება სწრაფად.

ნუ ვიჩქარებთ საბოლოოდ დასკვნის გაკეთებას. ერთი რამ კი უნდა აღვნიშნოთ—ამ საქმეში წარმოუდგენელი ზერელობა და დაუდევრობა სუფევდა...

—რას გვეტყოდით იმ 1017 ტონა პურის ფქვილის შესახებ, რომელიც თითქოსდა წამოღებულია თბილისიდან? ეს რიცხვი დაასახელა პარლამენტის წევრმა ბატონმა მურთაზ ჩაკვეტაძემ, რაც შემდეგ ათასი ეჭვის საბაბად იქცა.

—ეს არის არა წამოღებული, არამედ ფონდით გამოყოფილი და წამოსაღები პურის ფქვილის ოდენობა. სინამდვილეში ამ რაოდენობის ფქვილი არაა ათვისებული.

—როგორ ფიქრობთ, რაიკავშირის ახალი ხელმძღვანელობა შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას?

—უნდა შეძლოს! მთავარია რაიონული საკრებულოს გამგეობამ იზრუნოს შემოსული ფონდების ნორმალურად განაწილებისათვის. მას შემდეგ, რაც ჩვენმა კომისიამ ზედაპირულად გადაამოწმა ქალაქის მოსახლეობის სიები და ზოგი შესწორება შეიტანა მასში, „გამოთავისუფლდა“ 500 კილოგრამამდე პური და თუ მანამდე ცაგერის პურსაცხობის მიერ გამომცხვარი 2,25 ტონა პური მხოლოდ ცაგერში იყიდებოდა, დღეს ამ საცხობში დღე—ღამეში 2,28 ტონა პური ცხვება და ეს პური ქ. ცაგერის, გვესოს' ჩხუტელის და ნაწილობრივ ქვედა ცაგერის მოსახლეობასაც ყოფნის. ეს საკმაოდ თვალნათლივი მაგალითი უნდა იყოს იმისა, თუ რამდენად საჭიროა რაიონის მოსახლეობის ჭეშმარიტებასთან მიახლოებული სიის დადგენა.

ამასთან აუცილებლად მიმაჩნია მოსახლეობას რეგულარულად მიეწოდოს ინფორმაცია ყოველთვიურად გამოყოფილი ფონდებისა და მათი ათვისების შესახებ.

—საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ხმებმა „შრომის სახლის“ პრივატიზების შესახებ. რას იტყოდით ამის თაობაზე?

—შრომის სახლი პრივატიზებული არ არის. ჩანს, რომ ამგვარი მცდელობა იყო. ჩარიცხულია' კიდეც 9 მილიონი მანეთი აგრომრეწვბანკის საშუალებით. მაგრამ, საბედნიეროდ' საზოგადოებრიობამ დროულად აღიმაღლა ხმა და დღეს უკვე გაცემულია განკარგულებები ამ თანხის უკან დასაბრუნებლად. მე საჭიროდ ჩავთვალე მომეთხოვა სოფლის მეურნეობის განყოფილებისაგან (ყოფილი „აგრომრეწვი“), რომ ამ შენობის პრივატიზების საკითხი არ გადაწყდეს პროკურატურის ჩარევის გარეშე. ასე რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, მსგავსი მცდელობა აღარ განმეორდება.

—ამას წინათ რაიონულ საკრებულოში ერთ—ერთ თათბირზე მწვავედ დაისვა ხე—ტყისა და საწვავის პრობლემები. აპირებთ თუ არა რეაგირებას ხსენებულ საკითხებზე?

—ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელსაც სატყეო მეურნეობა დადებს სხვა საწარმოებთან რაიონის გარეთ ხე—ტყის გაყიდვის შესახებ, ზედამხედველობის წესით გადამოწმდება პროკურატურის მიერ. რაიონიდან არ უნდა გავიდეს ქრცერთი კუბური მეტრი ხე—ტყე პროკურატურის და ეკოლოგიური პოლიციის ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი მოეთხოვება ყველა თანამდებობის პირს. რაც შეეხება საწვავს, ვფიქრობ' კომისია გაარკვევს ყველაფერს.

—ბოლო ხანებში შეინიშნება მძიმე დანაშაულებათა კლების ტენდეცია, თუმცა' მეორეს მხრივ, ძველი ტემპით გრძელდება სახელმწიფო ქონების ძარცვის პროცესი. ამჟამად რა შეიძლება ითქვას პოლიციის მუშაობაზე?

—პოლიცია კვლავ ძველებურად მუშაობს, პროგრესი, სამწუხაროდ, არ იგრძნობა არც მისადმი დახმარების ორგანიზებაში. ის, რაც ახლა ხდება სახელმწიფო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, უნდა აღიკვეთოს ამავე ორგანიზაციების ხელშეწყობით. ყველას შეუძლია დაცვის აყვანა თავის შენობა — ნაგებობებისათვის. უკიდურეს შემთხვევაში მორიგეობა მაინც უნდა დაწესდეს.

—სოხუმში ომის განახლების შემდეგ ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა თუ არა, 18 ლეჩხუმელი მოხალისე წავიდა ფრონტზე, 18—ვე უიარაღო. ლეჩხუმში ვერ გამოჩნდა არცერთი ავტომატური იარაღი მაშინ, როცა ეს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო საჭირო. თქვენი კომენტარი—იქნებ არცაა ლეჩხუმში იარაღი?

—ძალზე სამწუხაროა, რომ იარაღის მფლობელებმა კიდევ ერთხელ შეაქციეს ზურგი მამულის მოწოდებას. მათ ჰქონდათ შანსი დაემტკიცებინათ საზოგადოებისათვის, რომ ისინიც ფიქრობენ საქვეყნო საქმეზე. იარაღი არის და საკმაოდ ბევრიც. უმჯობესი კი იქნებოდა, ეს იარაღი მტრის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული.

ესაუბრნენ
ია ხმელიძე,
მზევინარ ძნელაძე,

ყოველ დღეს და, საათს ახალი უბედურება მოაქვს საქართველოსათვის, თითქოს უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედის ჩარხი და ჯერჯერობით ვერავინ შეძლო მისი წაღმა შემობრუნება. სულ უფრო მძიმდება ჭაპანი და დაწყვეტამდე იჭიმება ნერვები. დღეს ყველამ შეუძლებელი უნდა შეძლოს ამ კოშმარიდან თავდასახსნელად ლეჩხუმელებს აქვთ ახალი პროკურორის იმედი. პროკურორსაც ხალხის თანადგომის ეიმედება. ღმერთმა ქნას, ეს ურთიერთსიმპათია არ განელებულიყოს!

რეზონანსი

არც ასეა საქმე

სწორდა 15 სექტემბერს 16 საათსა და 30 წუთზე, იმის გამო, რომ გადატვირთული იყო კავშირები და ქუთაისის საქალაქთაშორისო სადგურმა ჩვენი ლუპარაკი (ცენტრალურ ტელეგრაფთან არ გაატარა დროულად, ამდენად რაიონის საკრებულოს გამგეობიდან 17 საათსა და 40 წუთზე შემოსული დეპეშა გადაიცა ტელეფონით 19 საათსა და 50 წუთზე ქუთაისის ტელეგრაფში შემდგომი დამუშავებისათვის.

ტელეგრაფისტმა ი. ახვლედიანმა დროულად მიაკითხა წყალტუბოსა და ლენტეხის ტელეგრაფს დახმარებისათვის, მაგრამ უარი უთხრეს მათთან შეფერხებებისა და სატელეგრაფო კავშირის გაუმართაობის გამო.

ალბათ ხალხს გაუკვირდა ლენტეხმა რომ გადასცა დეპეშა და ცაგერმა ვერა. საქმე ისაა, რომ ლენტეხს და მესტიას აქვს კავშირი რადიოსარელეო ხაზით და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელნი არიან.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ბატონმა ტრისტან ლეთოდიანმა კავშირგაბმულობის მუშაობა შეაფასა, როგორც უნიათობა და დოყლაპიობა. საქმეში ჩაუხედავი კაცისაგან მეტი არც იყო მოსალოდნელი.

მართალია, ჩვენი მუშაობა არ არის სახარბიელო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ სიტუაციას, კავშირგაბმულობის საშუალებების მასიურ ხელყოფას და სათადარიგო მასალების მიუღებლობას, მაშინ საერთო ასპექტში ცუდად ნამდვილად არ ვმუშაობთ. ჩვენთან მუშაობას სპეციალისტი და საქმის მცოდნე ადამიანი დამაკმაყოფილებლად შეაფასებდა.

ი. ჭაბუკიანი,

კავშირგაბმულობის ცაგერის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

საგანგებო წესების გამოცხადების გამო

(დასასრული).

და მოდის საჭიროა წარმოება — დაწესებულებებმა იმუშაოს ჩვეულებრივი რიტმით, საგანგებო წესების შესაბამისად.

შეფერხებებია მოსახლეობის პურით მომარაგების საქმეში, ქალაქში რაც ცხვება პური, იგიც უხარისხოა.

ზამთარი კარს მოგვადგა. ხოლო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, წარმოება—დაწესებულებების შეშით მომარაგების საქმე. გადაუწყვეტელია, ყველა წარმოება—ორგანიზაცია იმიზეზებს ტრანსპორტისათვის საწვავის არ ქონას. აღნიშნული საკითხი ამასწინათ დაისვა. გამოიყო კომისია მიმდინარე წელს საწვავის შემოტანისა და ხარჯვის სისწორის დასადგენად, მაგრამ მას დღემდე არაფერი გაუკეთებია.

კომისიაზე ხაზი გაესვა იმას, რომ დღეს, როდესაც რესპუბლიკაში საგანგებო წესების გამოცხადებული, პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს გვერდით უნდა ამოუდგეს ყველა საკრებულო, დეპუტატი, მოქალაქე. ეს იქნება პიკეტები თუ ქალაქსა და წარმოება—დაწესებულებებში მორიგეობა, ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ რაიონში მოქალაქეთა უშიშროება, უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წესრიგი.

დღეს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება ყველა მოქალაქისაგან მოითხოვს გონიერებას, ორგანიზებულობას, ნუ ავყვებით დებოშებს. კვლავ გრძელდება გვარდიისათვის იარაღის შესაძენად თანხების, სურსათის შეგროვება, ყველას პატრიოტული ბალია აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ვეტერანთა აზრით

28 სექტემბერს განათლების განყოფილების სხდომათა დარბაზში გაიმართა ცაგერის ომისა და შრომის ვეტერანთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას. შეკრება გახსნა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ა. ჩიქოვანმა.

სიტყვით გამოვიდხენ რ. ბაქრაძე, ვ. ხეცურიანი, ს. ფუტკარაძე, ი. რატიანი, შ. ჩხეტიანი, რ. კოპალიანი, კ. სილაგაძე, ი. ყალინაძე და სხვები.

შეკრებამ მიიღო მიმართვა სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძისადმი, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს გაგონ ედუარდ შევარდნაძეს!

ძვირფასო ედუარდ! ცაგერის რაიონის ომისა და ოომის ვეტერანებმა დიდი გულისტკივილით აღვნიშნეთ სოხუმის დაცემის აძიავი. 27 სექტემბერი შავ ფურცლად შევა ქართველი ხალხის ისტორიაში. გარეშე მტრისა და მოღალატეთა წყალობით დავკარგეთ უძველესი ქართული მიწა. დიდესი საფრთხე შეექმნა საქართველოს ერთიანობასა და მთლიანობას.

ახლა ძალზე მძიმე დრო უდგას საქართველოს. ამაზე უარესიც გვქონია, მაგრამ სულით არ დავცემულვართ. რწმენა არ დაგვიკარგავს და გვიმარჯვნია კიდეც ქართველი ხალხის ისტორია მწარე დამარცხებათა და სახელოვან გამარჯვებათა ისტორიაა.

ლეჩხუმი საქართველოს ერთ—ერთი პატარა კუთხეა და გამოირჩევა თავისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებით. სამამულო ომის დროს ამ კუთხემ ფრონტზე გაგზავნა 7000—ზე მეტი მეომარი. აქედან ნახევარზე მეტი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. დღეს ჩვენი შვილები და შვილიშვილები მრავლად იბრძვიან აფხაზეთში, გვიჩვენებენ სამშობლოსადმი ერთგულებასა და თავდადების შესანიშნავ მაგალითებს. ბევრი მათგანი იმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

საქართველო არაერთხელ გამხდარა რუსეთის ღალატის მსხვერპლი და ახლაც ასე მოხდა. მან ერთხელ კიდევ გამოაჩინა თავისი ძველი იმპერიალისტური ბუნება, ვერ ელევა თავის ყაჩაღურ გეგმებს, ცდილობს თვის კონტროლს დაუმორჩილოს საქართველოს ზღვის სპირეთი.

სოხუმი დაეცა, მაგრამ ამით ბრძოლა არ დამთავრებულა. იგი ახალი ძალით გრძელდება. ჩვენ ადრე თუ გვიან დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს, აფხაზეთი ოდითგანვე ქართული მიწა იყო და ასეთადვე დარჩება იგი.

თქვენ ყველაფერი გაგაკეთეთ სოხუმის დაცვის—ათვის, საქართველოს ერთიანობის და მთლიანობის შენარჩუნებისათვის, დიდი მადლობა ამისათვის. თქვენ ბრძანდებით არა მარტო მსოფლიოში აღიარებული დიდი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, არამედ მამაცი და უშიშარი რაინდიც, მთელი ბრძოლის მანძილზე არ მოშორებიხართ ფრონტის ხაზს, უშიშრად ხელმძღვანელობდით საბრძოლო ოპერაციებს.

ხალხს ახლა შია, სწყურია, გაჭირდა ცხოვრება, ყველგან იგრძნობა ფიდისციპლინობა, მოშვებულობა, ძარცვა—გლეჯა, ბევრი ჭირ—ვარამი მოგვეძალა, უზნეობა და ღალატი ზეიმობს ყველგან. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ყველაფერს მოევლება. ყველაფერი მოწესრიგდება, გავა წლები და ჩვენი პატარა საქართველო მსოფლიოში ერთ—ერთი უმშვენიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო იქნება. ოღონდ საჭიროა ერთიანობა, ერთსულოვნება, შეკავშირება. თუ ერთად ვიქნებით, ვერავინ მოგვერევა, მუდამ უძლეველი ვიქნებით.

გაუგონარი ღალატის და გამცემლობის შედეგად დაეცა სოხუმი. თქვენ თქვენი მისია შეასრულეთ. თქვენი პირადი მამაცობა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია. ჩვენს ერს დაღუპვა არ უწერია, რაც უნდა მოხდეს. საბოლოოდ ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, ისტორია სამარცხვინო ბოძზე გააკრავს ჩვენი ხალხის მოღალატეებს. თაობები კრულვით მოიხსენიებენ მათ სახელებს, ვინც ღალატობს ერის ინტერესებს.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს მრავალი ჭირ—ვარამი უნახავს, ბევრჯერ მდგარა უფსკრულის წინაშე, მაგრამ მაინც გადარჩენილა. გადავრჩებით ახლაც.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული შეკრების მონაწილენი.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ილოცავთ

ზორენა სილაგაძეს, მამუკა ჩხეტიანს
გილოცავთ გედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.
მურმან გულგიანი, გივი ახვლედიანი.

თამარ ამირანის ასულ გრეგვაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს.
მარინე ბურის ასული ხეცურიანი.

თამარ ამირანის ასულ გრეგვაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ნათია გესიკის ასული კვენტაძე.

გოგი კვირკაშვილს
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას.
საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები.

ნინო, მუხრან ლიპარტელიანებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
მედიკო გაჭრაძე, ჟორა შაუგულიანი.

იზო, ჯონი მეგრელებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ვაჟი.
რაისაავადმყოფოს ლაბორატორიის თანამშრომლები.

ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
ჟორა კუხალაშვილი ოჯახით.

დარეჯან, მურმან გურჯალიანებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
მალვინა, მამუკა.

იზო, ჯონი მეგრელებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
რეზო ლეთოდიანი ოჯახით.

ნაზი, იური ბენდელიანებს
გილოცავთ ნანას უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.

ციცო, შადიმან დავითულიანებს
გილოცავთ ალუდას გედნიერებას.
ნელი ლეთოდიანი ოჯახით.

ნინო, მუხრან ლიპარტელიანებს
გილოცავთ ვაჟის შეძენას. კვლავაც გწყალობდეთ ღმერთი.
გურამ ხმელიძე ოჯახით.

ციცო ყუბუსიძეს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
ლაილაშის საკრებულოს, კავშირგაბმულობის განყოფილების, კლუბ—ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

ნუნუ, ჯემალ ჩაჩხიანებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
ლაილაშის საკრებულოს თანამშრომლები.

ნუნუ, შიო, ლოლა, შალვა ომანაძეებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
გოგუცა, დუგლას ომანაძეები ოჯახით.

ლეილა გიორგობიანს, ჯონი გურჯალიანს
გილოცავთ ვაჟის შეძენას.
ლაცორიის საშუალო სკოლის თანამშრომლები.

იზო, ჯონი მეგრელებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.
ლაშა გურჯალიანი ოჯახით.

ნათელა, რაინდი სილაგაძეებს
გილოცავთ იმედას უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
ლასურიაშის საკრებულოს, კავშირგაბმულობის განყოფილების, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის თანამშრომლები.

ფაქიზო, ანზორ მუშკუდიანების ოჯახს
გილოცავთ პირველი შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.
ლასურიაშის საკრებულოს, კავშირგაბმულობის განყოფილების, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის თანამშრომლები.

ხსოვნა

ზვიად გუგავა

შემოდგომაზე დაბადებული შემოდგომასავით გულუხვი საყვარელი სიკეთის მთესველი იყავ, ზვიად. გიკვირდა ცუდკაცობა, იქნებ შენც დედამ იმით დაგზარდა, მხოლოდ პატიოსნებას და ადამიანობას გიკიჟინებდა. რატომ არ გასწავლა, თუ შეიძლებოდა ყველა დროს მორგებოდი?

28 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. 25 წელი შეგისრულდა. გილოცავთ, ზვიად!

ვაი, რომ ამ დღეს შენთვის ჩვეული შემართებით ვერ მიგვიპატიჟებ შენს სტუმართმოყვარე ოჯახში. ძნელია შენი დაბადების დღე უშენოდ. ო, როგორ დაგვაკლდი არა მარტო ჩვენ, არამედ ყველას, ვისთანაც საერთო გქონია. კაცურად გალიე ღვთისაგან ნაბოძები ოცდასამნახევარი წელიწადი.

დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და წუხილი. დაგრჩა აუხდენელი ოცნება. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება და დაოჯახება. დასანანია, რომ შენს სახელზე აღარავინ დააბიჯებს ლეჩხუმის მიწაზე, ჩვენო ულალატო დისშვილო.

ეჰ, ჩვენო ზვიად, ასეთი ყოფილა ცხოვრების კანონი და ეს მუხთალი წუთისოფელი. „მისგან გასწორდეს ყოველიო" — ტყუილად კი არ უთქვამს იმ დალოცვილ რუსთაველს. იძინე მშვიდად, ჩვენო კარგო და ზნეკეთილო ბიჭო — მშვიდი და უდრტვინველი იქნება შენი ძილი, რადგან ამ ქვეყნად მოხდილი გაქვს ვალი მამულიშვილისა.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო ლამაზო, კეთილო და უწყინარო დისშვილო, ჩვენო ნანატრო სიხარულო და მოურჩენელო ტკივილო.

ვფიცავთ შენს წმინდა საფლავს, სანამ ცოცხლები ვიქნებით, შენც ჩვენს გვერდით ცოცხლად გიგულვებთ. ავიღებთ სამისს შენი მონატრებისას ვიტყვით შენი არდავიწყებისას.

ბიძები მურმან და იური ბანძელაძეები.

ბესიკ ოთარის ძე ბაკურაძე

38 წლის შესრულებას გილოცავთ, ბესიკ! ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ჩვენო უილბლო ბიჭო. წლს უკვე უშენოდ ვხვდებით შენი დაბადების დღეს. სიკვდილიც რჩეულებზე ნადირობს თურმე, სიკეთით სავსე თავმდაბალი, ლამაზი და უწყინარი ვაჟკაცი გვყავდი, ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი.

უჩვენობა არჩიე და დაგვიტოვე დიდი, ტკივილნარევი სიყვარული. შენს ოჯახში მწუხარებამ, სევდამ და ცრემლმა დაისადგურა. შენი სურათებიდან გადმოსული ღიმილი ვერ ანუგეშებს შენს ტანჯულ მშობლებს, დებს, ძმებს. დარდი და ნაღველი ახლავს შენს გახსენებას. რა თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი სიკვდილი, არ დაგინდო ულმობელმა სიკვდილმა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო საყვარელო ბიჭო, ჩვენო სიამაყე.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს, უკვდავებაში გადასულო და ყველასათვის საყვარელო.

დედ-მამა, დები, ძმები.

მეუღლე ნანული, შვილები ირმა, მირზა, ია, დები ნორა, ზინა, სიძეები ვანო ამონაშვილი, ბიკენტი ჩანქსელიანი, სოსო ხუთანიშვილი, შვილიშვილები ანზორ, გიორგი, უახლოესი ნათესავები იუწყებიან **დავით არსენის ძე ჩარხიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 ოქტომბერს, კვირას, სოფ. ლაჯანაში.

ალბერტ, ხვიჩა, მურთაზ, თემურ ჩარხიანები, ილუშა, ურთმელიძე, შალვა, ლავრენტი, ავთო, შარდენ, გია, შამშე, პავლე, ზაური, გიჟიკო, ვარდენ, რეზო გოგებაშვილები, ლადო ხვადაგიანი, თამაზ ყვირილიანი, გოგი ფურცხვანიძე, ამბაკო, ნოდარ სილაგაძეები, გოდერძი, რაინდი მიქაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს **დავით ჩარხიანის** გარდაცვალების გამო.

მამუკა, ბესიკ ჩარჩხიანები თანაუგრძნობენ უსუპ, ბადრი ჭაბუკიანებს დისშვილის **გელა სილაგაძის** გარდაცვალების გამო.

დემურ ჩხეტიანი, რევაზ ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს **თამარ ჩხეტიანის** გარდაცვალების გამო.

დედა ციცო, მამა ჯემალი, ბებიები მარო, დოდო, ბაბუა სერგო, ძმები დათო, გენური, ბიძები, ბიცოლები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **გელა ჯემალის ძე სილაგაძე.** დაკრძალვა 2 ოქტომბერს, შაბათს სოფ. ორბელში.

მეზობლები ნუკრი სალინაძე, შურა ჩიქოვანი, მაიზერ კოპალიანი, გოგი გენიძე, მარიამ გამსახურდია, კარლო ჩაკვეტაძე, თამარ ახვლედიანი, თამაზ სილაგაძე, მანანა გიორგელიძე, ლეო ყურაშვილი, ბიული ხეცურიანი, გოდერძი გოლეთიანი თანაუგრძნობენ ციცო, მურად კოპალიანებს მამისა და სიმამრის **ვიქტორის** გარდაცვალების გამო.

პიმენ, შალვა ირემაძეები, ონისე, ჯემალ ხეცურიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს **თამარ ჩხეტიანის** გარდაცვალების გამო.

ლუდვიგ ხეცურიანი, პოლიკა, თამაზ თავბერიძეები, შოთა კოპალიანი, მიშა ფოჩხიძე, დათო ლეთოდიანი, ბორის კაკრიაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლუნა, ჟორა ლეთოდიანებს **ვიქტორ ქარსელაძის** გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელეონორა, ჯემალ ცხვედიანებს დედისა და სიდედრის **თამარ გორგასლიძის** გარდაცვალების გამო.

რაიპოლიკლინიკა-საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა თამრიკო კვირკაშვილებს ბიძის **მიშა მურცხვალაძის** გარდაცვალების გამო.

ნინა ნემსაძე, გივი მდივანი ოჯახებით თანაუგრძნობენ პაშა, ოლეგ, მზია გიორგობიანებს მაზლისა და ბიძის **დადაში გიორგობიანის** გარდაცვალების გამო.

ძმისშვილი ლენუა, სიძე ნოდარი, ძმისშვილიშვილები ნონა, ბადრი, ბორია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **მაგუცა ნიკოლოზის ასული შკუბულიანი.**

იური ნემსწვერიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ჯემალ და ციცო სილაგაძეებს შვილის **გელა სილაგაძის** გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა **ვიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძე.** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შოთა კოპალიანი, არსენ ხეცურიანი, მიშა ფოჩხიძე, რეზო, ჟორა ლეთოდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლუდვიგ ხეცურიანს სიძის **კუჭიკო გოლეთიანის** გარდაცვალების გამო.

მურმან ჯიაძე ოჯახით იუწყება **თამარ გორგასლიძე-ჩხეტიანის** გარდაცვალებას.

მაყვალა, ლემინო ლიპარტელიანები თანაუგრძნობენ ვენერა, ჟორა ახვლედიანებს დის **დალის** გარდაცვალების გამო.

საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო, სოზარ ნემსწვერიძეებს **გოგუცას** გარდაცვალების გამო.

რეზო ლეთოდიანი ოჯახით იწყება, რომ გარდაიცვალა **ვიქტორ ქარსელაძე.**

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნანი და ვიტო ხეცურიანებს მამისა და სიძის **ვიქტორ ქარსელაძის** გარდაცვალების გამო.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ლუნა ქარსელაძეს მამის **ვიქტორ ქარსელაძის** გარდაცვალების გამო.

ორბელის საშუალო სკოლის 1987 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან **გელა სილაგაძის** გარდაცვალებას.

ნოდარ სილაგაძე თანაუგრძნობს ჯემალ სილაგაძის და უსუპ ჭაბუკიანის ოჯახებს **გელას** გარდაცვალების გამო.

კახა ბურჯალიანი ოჯახით იუწყება **გელა ჯემალის ძე სილაგაძის** გარდაცვალებას.

ლევან ბურჯალიანი ოჯახით იუწყება **გელა ჯემალის ძე სილაგაძის** გარდაცვალებას.

ლაშა ბურჯალიანი ოჯახით იუწყება **გელა ჯემალის ძე სილაგაძის** გარდაცვალებას.

სამეურნეოგათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ გოგიძეს ბიძაშვილის **დავით ჩარხიანის** გარდაცვალების გამო.

შუქური გოგებაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა **დავით ჩარხიანი.**

ვიტალი, გია გოგებაშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დავით ჩარხიანი.**

ზურაბ, ბორის ხოგიძეები, კრიშა ნემსწვერიძე, ჯემალ არჩვაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დავით ჩარხიანი.**

შალვა, რეზო, გახვა სალინაძეები, ლენა, მიშა ყურაშვილები, სოსო კუხალაშვილი, გურამ ჩარკვიანი, ტიტიკო კოპალიანი, დოდო ჩაკვეტაძე, მურაზ დადიანი, ამირან მუშკუდიანი, სარდიონ ფუტკარაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნუნუ გაბუხაძეს ძმის **მურმანის** გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის მე-10 კლასების მოსწავლეები თანაუგრძნობენ მარიკა ჩხეტიანს და ხლუდა ცხვედიანს ბებიის **თამარის** გარდაცვალების გამო.

ცაგერის სათავე ნაგებობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა ქარსელაძეს და მურადი კოპალიანს **ვიქტორ ქარსელაძის** გარდაცვალების გამო.

დათო კვენეტაძე, კახა ბურჯალიანი, გოგიტა ყურაშვილი, კახა კოგა, გოჩა, რობინზონ მეგრელები, ზურია სილაგაძე, მიხო, მირიან მახარობლიძეები, ზაზა გასხოლიანი, კახა, კოგა, თორნიკე ბურჯალიანები, დათო მეშველიანი, გოგი მიქაძე თანაუგრძნობენ ჭირისუფალს **გელა ჯემალის ძე სილაგაძის** გარდაცვალების გამო.

ბრიშა სილაგაძე, რუბენ ბურჯალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯემალ სილაგაძეს შვილის **გელას** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალიკარტ, ზურაბ სილაგაძეები, ნაილა ბაკურაძე, შოთა კოპალიანი ოჯახებით იწყებიან **დავით არსენის ძე ჩარხიანის** გარდაცვალებას.

ბორის კაკრიაშვილი, მურთაზ, ზურაბ ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ სოზარ, ნატო ნემსწვერიძეებს დეიდის **გოგუცას** გარდაცვალების გამო.

გოჩა გოგებაშვილი, კოლია გიორგობიანი ოჯახებით იუწყებიან **დავით ჩარხიანის** გარდაცვალებას.

დათო, ნელი ლეთოდიანები, გივი, რეზო ბენდელიანები, ნოდარ, გელა, თამაზ სალინაძეები, ბრიშა შკუბულიანი, გია ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლუდვიგ ხეცურიანს სიძის **კუჭიკო გოლეთიანის** და ლუნა ქარსელაძეს მამის **ვიქტორ ქარსელაძის** გარდაცვალების გამო.